# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 586

დამატების № 105

კვირა, 29 მაისი 1916 წ.


137/ №2804



† ლ. დარჩიაშვილი.

## თეთრი ლექსი

ალსავსე იყო სათეატრო დარბაზი დიდი
და მე ჩემს ლექსებს ვკითხულობდი. და ვკითხულობდი,
ისე დარცხვენით, ისე კდემით, გაუბედავათ,
რომ საკუთარი ღიმილიც კი მგვრიდა სირცხვილსა.
ანიავებულ ტირიფივით ვთრთოდი... ვღელავდი...
აი, დავიწყე შენი ლექსი და გამახსენდი!
აი, ვულურტულებ მერვე ხანას... მეცხრეს... მეათეს..
აი მოვწყვიტე ხალხს უსაზღვროს უსაზღვრო ტაში,
ტაში გამთბარი, განბანილი ვაშას ძახილით.
და როს გავცხრილე მე ის ტაში, გადავარჩიე,
ეს ჩემი ყური დაეძებდა შენს ტაშის ცემას;
ეს ჩემი თვალი დაეძებდა შენს მალალ თვალებს;
ვეძებდი შენს ტანს ისარივით დაქნილ-დაწლობილს;
ვეძებდი მკერდში ჩაგორებულ წყვილსა ნარინჯსა;
ვეძებდი ლოყებს ჩაფიქრებულს; პაწა შაქრის ცხვირს,
მოხრილ წარბებსა, მუშკისფერ თმას, ყირმიზის ბაგეს.—
მაგრამ თვალებმა გადმოაგდეს ცრემლის კურცხალი
და მე შევიტყე—ვაჰ, ჩემს ყოფას—და მე შევიტყე,
რომ იმ სალამოს იმ დარბაზში, იმ ხალხში, იმ დროს
არ იყავ. და რომ ყოფილიყავ გამოჩნდებოდი,
როგორც მთოვარე ვარსკვლავებში. მაგრამ არ იყავ.
რატომ არ იყავ? ო, სთქვი, ო, სთქვი, გამაგებინე,
რატომ არ იყავ, ჩემო კარგო? ო, რატომ? რატომ?..

მაგრამ რას ვბოდავ. იქნებ მარტომ, მარტოდ ყოფნის დროს,
იგრძენ ობლობა სულის, გულის, შეიქმენ ავად
და გსურდა... გსურდა დაწყნარება, გსურდა სიდინჯე?
ეძებდი სიტყვას სანუგეშოს, სიტყვას წრფელს, ჯანსაღს,
ეძებდი თვლემას—და მალიმალ შოშიასავით
აპობდი პირსა, ამთქნარებდი—მაგრამ სად იყო!
ეძებდი ფიქრებს და ფიქრიც კი წაღლო სევდას,
იყავი მარტოდ; უიმედოთ—და ვით ამბობენ
წყლის მომტანიც კი არვინ გყავდა, წყლის მომტანიც კი—
მე კი—ახ—ამ დროს საყვედურით გავსებდი საწყალს
და უდარდელი ლექსის კითხვით ვსიამოვნობდი.
თუ ასე იყო: რას ვაქნევდი მე იმ სალამოს,
დე, ჭირს წაეღო ყოველივე... ჩემო კეთილო,
ო, მომიტევე! მომიტევე! ახ, რო მცოდნოდა,
ახ, რო მცოდნოდა, გეფიცები ჩემს ქორფა სურვილს,
მივატოვებდი ატალღებულ დარბაზს, ხალხს, სცენას,
თვით ნიავქარზე უსწრაფესად მოგივიდოდი
და ჩემს სიცოცხლეს დაგადებდი უკვდავ მალამოდ.

მაგრამ იქნება დაივიწყე ჩვენი წარსული,
გასტეხე ალთქმა, უარჰყავი პირველი გრძნობა
და იმ ადგილას, სადაც ერთხელ ვარსკვლავებს ვთვლიდით,
სხვა გყავდა! სხვა! სხვა! შემოგყეფდა ორპოფულ სიტყვებს
და შენც, საბრალოვ, მოხიბლული ჯადო-თილისმით
უპასუხებდი იმავ კოცნით, იმავ ალერსით,
რომლითაც უკვე მე განხადე სვე-კმაყოფილი?!
თუ ასე იყო—რა უნდა ვქნა—გზა მშვიდობისა!
ოღონდ გიყვარდეთ ერთმანეთი! არ შესცდეთ ოღონდ!
ოღონდ შენ იყავ ბედნიერი და მე კი... მე კი...
მაგრამ, მიჯნურო, თუ ოდესმე შენმა მიჯნურმა,
მიჯნურმა დამთვრალ, დაოკებულ, დამცხრალმა ვნებით
გადაგისროლოს სუნ-მილებულ შემხმარ ვარდივით:
მე მომიწოდე—აქ არა ვარ—მე აღარ გეტყვი
თუ როგორ ულვთოდ მილალატე, ჩამიკალ ნიჰი,
თუ რაოდენი განსხვავება სუფევდა ჩვენში,
მე აღარ გეტყვი არც ჩემს გეგმებს, მე საყვედურსაც
არ მოგასმენ. ო, არა! არა! მე გულს ჩაგიკრავ
და იმავ სიტყვებს ჩაგჩურჩულებ: რა გენაღვლება,
ისე მიყვარდე ვით პეტრარკას თავის ლაურა.

იქნებ მემდური? არ გრცხვენია? რა დროს მდურვაა!
მე ხომ მთლად ჩემი სიჭაბუკე შენ შემოგწირე,
შენ! შენ! წმინდაო, შენ, რომელიც იყავი ღირსი.
დაგიშავე რამ? გაწყენინე? არ ვიცი, არა!
ო, თუ წამომცდა სიტყვა მკრთალი, სიტყვა უხეში
და შეურაცხყავ შენი სმენა—ო, მომიტევე!
ღმერთს გეფიცები, სჩანს ეს მოხდა ჩემს უნებურად.
მუხლ-მოდრეკილი შენდობას გთხოვ: ო, მომიტევე!
ო, მომიტევე... მაპატიე... შემინდე.. გესმის...

ი. გრიშაშვილი.

# დავით გარეჯის უდაბნო



ალებასტრის კანდელი ღვთისმშობლის ეკლესიის.



ფერისცვალების ეკლესია, სადაც იმყოფება საფლავი დავით გარესჯელისა.



შუა ტერასა. წმ. ნიკოლოზის ეკლესია.

რეჯების სიზმარი კი წყნარი იყო, სახატრელი და იგი უამბობ-
და ითირს, მხიდრის მკვლელობას.

ლები კი საუკუნოდ იყო დახუჭული!..



**სახალხო პოეტი მიხეილ ლელაშვილი**
(გარდაცვალებიდან წლის თავი შესრულდა).



ჩვენი კორესპონდენტი **გ. ახვლედიანი** და ქართველი მაჰმადიანი ბავში.

# ბულბულს

**ირ. ევდოშვილის დაუბეჭდავი ლექსი.**

შენ სულ უსტვენ, შე ლაციცა,
შენ სულ უსტვენ წარა-მარა:
დილით, ღამე, განთიადზე,
მაგრამ მაინც არა კმარა.

—

მხოლოდ ცოტა მეეჭვება,
ჰანგოსანო, შენი სტვენა,—
ვისაც უყვარს ასე ხშირად
არ ლაქლაქებს მისი ენა!

# სიყვარულის სამეფოში

(ვუძღვნი ჩემს მეუღლეს
**მარიამხ რაზიკაშვილიხას**).

1.

შენი ჭირიმე, მთვარეო,
გულში ღრმად ჩამეპარეო!
ნუ დახვალ გარე-გარეო,
ყოფნა ნუ გამიმწარეო.
მოდი, მაკოცე მალეო,
სხივები მომაყარეო!

2.

დანიშნულმა მზითვის სია
მომიტანა, გუჯრით იყო:
რა ფულ-საფენ, რა საცმელი,
სამკაული მეტი იყო.
ჩავყევ და ვაჰ!—იმაშია
სიყვარული არსად იყო!
სია მივეც, ვუთხარ: „ესა
მამაშენსვე მიუტანე.
რაც შიგ არის, არა მინდა.
სიყვარული მომიტანე.

3.

ქალმა თაფლი შემთავაზა,
თეთრი მოთი, გოლეული.
მე თითები გავილოკე,
გადავუდგი ტკბილეული.
„რად არა სჭამ, ბრ გიამა!
—გამებუტა მზარეული“
ვუპასუხე: „მადლობელი,
ცხონდა შენი გამზრდელიო.
სიმაძღრისთვის პურია, და
თაფლი—ზოგვით საჭმელიო“.

4.

ქალ-ლამაზის მგულებელმა
გავიარე კარისასა.
ის არჩევდა სამურაბეს
თეთრ წითელი ვარდისასა.
შევსდევგ, ვუთხარ: „სამურაბედ
რად იმეტებ მაგასაო?
საიმისოდ შვინდს ხმარობენ,
ან ჟოლს, კაკლის კაწახსაო. *)
ვარდი კი ყვავილი არის,
საამური თვალისაო.
შენ გაუშვი, შესაჭმელი
ნურა გინდა მაგისაო.

5.

(დვრინვა).

შიშველი ცოლი ხელში მჭერია,
მისი სიშიშვლე არ მინახნია.
მე მარტო სახე დამინახნია,
მასზედ ლექსები დამიწერნია.
და ტრფობა ჩემი ცად აღზიდულა,
დაბლა ერთხელაც არ დაცემულა.
თუ ვინმე მეტყვის: „სულ ტყუილია“.
მეც ვუპასუხებ: „სულ მართალია
და ტრფობა ასე უფრო ტკბილია“.

**ბაჩანა.**

---

*) ჟოლი—малина; კაწახი—წენგო.



პრაპ. ალ. გორგაძე
(დაჭრილია).



„სახალხო ფურცლის“ კანტორის
ყოფილი გამგე.
პრაპ. გიგო ედიშერაშვილი
(დაჭრილია, დარჩა ჯარში).



პრაპ. ალექსანდრე ბეს. ჩიჩუა
(მოკლულია).



პრაპ. ვასილ კორძაია.
(მოკლულია).



პრაპ. ამბროსი რამიშვილი
(მოკლულია).



პრაპ. ბარნაბ ლაბაძე
(დაჭრილია).



ივანე ზაზიაშვილი
(დაჭრილია).

## ო, ნინო, ნინო!

ერთხელ, როდისღაც მიყვარდა ქალი,
მიყვარდა ისე თავგანწირულად,
რომ თვით ნიავი მთებში მავალი
ჩემ ცეცხლიან სულს იდგამდა სულად.
ვით მზე ყვავილებს გაზაფხულისას,
იგი ჩემს გულში იწვევდა ჰანგებს,
ჩემთვის ვმღეროდი გრძობას გულისას
და მოვალხენდი მრავალ სხვა გამგებს.
მაგრამ ამოსტყდა დრო-ჟამს გრიგალი
თვით ჯოჯოხეთის სულთ შესაზიზლი,
ამოაგლიჯა ჩემს გულს ის ქალი
და იმის ნაცვლად ჩამიდო ზიზღი.

შემდეგ უმიზნომ დიდხანს ვიარე
უსიყვარულო დღეების გარე
და უმიზნობით გზა აბნეულმა
ბევრი, ბევრი წვა გამოვიარე.
ყოვლი ნაბიჯი და ყოველი ესა
უფსკრულისაკენ მიმაქანებდა,
მეც ყველაფრისთვის შევიქენი გზა—
ბედს ჩემი გული სუმთლად დაჰნებდა.
მარტოდ-მარტოკა ვიდოდი სოფლად,
ვით ღრუბლის ქულა მოწმენდილ ცაში
და თვით სიკვდილმაც დამივიწყა მთლად
გამომწყვდეული მარტოობაში.

ბოლოს, ერთ ადგილს, ერთსა დღეობას,
სადაც ციური საკვირველებით
ტკბილი დუდუკი ჩემს გამქრალ გრძნობას
ჰრწყავდა საამო, შორეულ ხმებით—
თვალი მოვკარი იმ ნეტარ სახეს
იმ ნეტარ თვალებს, იმ ნეტარ ბაგეთ,
რომელთაც ერთ დროს ღიმილით მნახეს,
რომელთაც ლექსებს უმღერდი მდაგეთ.
და აღსდგა ჩემში ტრფობა ახალად,
ისევ გაიდო ჩვენ შორის ხიდათ,
თვით ამომძახა: აღვიდექო კვალად,
და უპასუხე მეც: „ჭეშმარიტად!..“

ო, ნინო, ნინო! შენმა სახელმა
უწინარესად ამიხსნა თვალი
და იმა თვალით შენმა მნახველმა
ნახული იგი გულს ჩავიკალი.
ის ჩემი ჰანგიც, რომლისა თქმითაც
მოილხინებდა ბევრი ულხინო,
იყო სალხენი მისთვის, რომ იქაც
შენი სახელი ისმოდა, ნინო.
შენივ სახელი ბოლოდ მექნება,
გადამექცევა თვით მესაფლავედ,
მიწადაც იგივ გულს დამეყრება
და იგივ იად გადიშლება ზედ!

ი. მჭედლიშვილი.

## მოთქმა

მარტო დავდივარ და ვსტირი,
ჩემს უბედობას ტიალსა,
ფიქრი და გრძნობა გადაჰყვა,
უკულმართ სოფლის ტრიალსა,

ვერ შევურიგდი სიავეს,
ცხოვრების დუხჭირ ზრიალსა,
გულს ნაღველ-ცრემლად ვაყოლებ
სევდიან ჩანგის წკრიალსა.

ყოველგან ბნელა წყეული,
ყოველგან მოთქმა-ზარია,
ბუნების ტურფა მდელოზე
სისხლის ღვარს მოუვლია,

სულს ჰზარავს ყოფნა მონური,
სიცოცხლე შესაზარია,
სიმართლის საკურთხეველზე
ბოროტსა გაუხარია.

რა ვუყო? სით წავიდე?
სად ვპოვო შვება სულისა?
ყველას მახვილი უპყრია,—
დამცველი მეფე-ფულისა

და სიცოცხლისა კვარცხლბეკზე
ნისლია აღსასრულისა—
არ იქნა არ აყვავილდა
ცხოვრება დაჩაგრულისა!

დარია ახვლედიანისა.



და ითირს, მხიდრის მკვლელობას.
ლები კი საუკუნოდ იყო დახუჭული!..